



**საქართველო**  
**ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა** N 40 62

09/08/2018

**წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი  
საკითხის მოწესრიგების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განსაზღვრული ადგილების ნუსხა დანართი 1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო შენობა-ნაგებობებზე (სასაფლაოს ტერიტორია, ეკლესია და სხვა), კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, ასევე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში.

**მუხლი 3.** ამ განკარგულების პირველი მუხლით განსაზღვრული ადგილების (ობიექტების) გარდა სააგიტაციო მასალა შეიძლება აგრეთვე, გამოიფინოს სხვა შენობა-ნაგებობებსა და ობიექტებზე (გარდა მეორე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

**მუხლი 4.** ამ განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილებით. ამ განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით. ამ განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი). ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3

პუნქტების გათვალისწინებით განკარგულების პირველი მუხლით განსაზღვრულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტების მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 3 ცალით.

**მუხლი 5.** დაევალოს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს განკარგულების (საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია) გამოქვეყნება ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოში და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. განკარგულების მიღების შესახებ ეცნობოს ხონის საოლქო საარჩევნო კომისიას.

**მუხლი 6.**


ამ დადგენილების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 7.**

ძალადაკარგულად ჩაითვალოს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 მარტის N40 21 განკარგულება „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“.

**მუხლი 8.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.სამტრედია, მმეზი ნინუების ქ. N1).

**მუხლი 9.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.  
კობა კუბლაშვილი



საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.

ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალის გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხა

N	ადგილის დასახელება	მისამართი
1	მოსაცდელი ათასწერილმანთან, სტადიონის ღობე, ყოფილი N8 სასწავლებლის ღობის კოლონები	ქალაქის ტერიტორია
2	კლუბის შენობის კედლები	კინჩხა
3	საყარაულო ჯიხურის კედლები	გორდი
4	ყოფილი მეურნეობის და კლუბის შენობების კედლები	ქუტირი, გვაზაური, პატარა ჯიხაიში
5	გარე განათების ბოძები	ივანდიდი
6	ყოფილი მაღაზიის შენობის კედლები	დედალაური
7	ყოფილი აბანოს შენობის კედლები	ჩაის მეურნეობა
8	პ.კაკაბაძის სახლმუზეუმის ღობე	კუხი
9	სარიტუალო დარბაზის კედლები	ახალშენი
10	კლუბის შენობის კედლები	გოჩა - ჯიხაიში
11	კლუბის შენობის კედლები	გუბი
12	კანტორის შენობის კედლები	ნახახულევი ახალბედისეული
13	გარე განათების ბოძები	ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორია
14	ყოფილი კანტორის შენობის კედლები , ყოფილი მაღაზიის შენობის კედლები	ბესიაური
15	ყოფილი მაღაზიის შენობის კედლები	ძეძილეთი
16	ყოფილი მაღაზიის შენობის კედლები, ცაცხვისხეები, ბარიტის წარმოების ყოფილი შენობის კედლები	ღვედი
17	მაღაზიის შენობის კედლები, მოსაცდელეები	მათხოჯი
18	მაღაზიის კედლები	სუხჩე
19	მაღაზიის კედლები	ხიდი